„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის

პრეზიდენტი სალომე მელია

ქართული ჟურნალისტიკის დღისადმი მიძღვნილი ღია ბლიც-ტურნირი
ქ. ბათუმი, 21 მარტი, 2023 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;

ფინანსური მხარდამჭერი: აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების ადგილი: მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე.

მის: ლეონიძის 15

ჩატარების სისტემა:
ჩემპიონატი ჩატარდება ელვისებურ ჭადრაკში, ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად.
მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, ტურნირის ჩატარების სისტემას და წესებს განსაზღვრავს ორგანიზატორი.
მონაწილენი:
ჟურნალისტები საქართველოს ყველა რეგიონიდან.
დროის კონტროლი:
თითოეულ მონაწილეს მიეცემა 5 წუთი 2 წამის დამატებით.
ტაი-ბრეიქი:

შვეიცარული ტურნირის დროს:
1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);

4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

რეგისტრაცია:

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 21 მარტის 11:00 საათამდე.
სარეგისტრაციო ბმული: https://forms.gle/CQ5zbg5m178oGkC26
დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში მონაწილის ტურნირში დაშვებას წყვიტავს ორგანიზატორი.
საკონტაქტო ტელ: 558 410904

ტურნირის განრიგი:

ტურნირის გახსნა - 21 მარტი 18:00 სთ.
1 ტური - 18:15 სთ. ყოველი მომდევნო ტური დაიწყება თითოეული ტურის დასრულების შემდეგ.

საერთო წესები:

ტურის დაწყებიდან 3 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

გამარჯვებულები:

I, II, III საპრიზო ადგილზე გასული მონაწილეები და 1 საუკეთესო მანდილოსანი, დაჯილდოვდება მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით, ჩემპიონი აგრეთვე დაჯილდოვდება თასით.
ტურნირის ყველა მონაწილეს გადაეცემა სიმბოლური საჩუქრები.

ტურნირის დირექტორი - საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია